

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. ქვემოთ მითითებული წესი მოქმედებს ბნსუ-ს უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურების შემთხვევაში: ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება მხოლოდ სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში. სტატუსის აღდგენის მიზნით რექტორის სახელზე განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს სემესტრული ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადისა. ფინანსური დავალიანების, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია დარღვევის აღმოფხვრა. სტატუსშეჩერებულ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეძლო დადგენილი ვადის დაცვა, შეუძლია სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში მიმართოს ბნსუ-ს რექტორს განცხადებით, მიუთითოს წესის დარღვევის მიზეზი (განცხადებას უნდა დაერთოს მითითებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) და ითხოვოს დამატებით ვადაში სტატუსის აღდგენა და ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლება. სტატუსის აღდგენის შესახებ განცხადება უნდა ჩაბარდეს ბნსუ-ს კანცელარიაში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). განცხადებას განიხილავენ რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით: უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში არ მოხდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განცხადება გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენამდე ხდება სტატუსის შეჩერებამდე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა კომპონენტების (მიღებული კრედიტების) შესაბამისობის/თავსებადობის დადგენა იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომლითაც სწავლა გაგრძელდება სტატუსის აღდგენის შემდეგ (შედარება ხდება ბნსუ-ში მოქმედი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად), შედარების შედეგად განისაზღვრება რომელი სემესტრიდან არის რეკომენდებული სწავლის გაგრძელება, რამდენი კრედიტი ექმება მისაღები სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს და სხვ.). ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიღება გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და ამ გეგმით სწავლის გაგრძელების შესახებ. ფაკულტეტის დეკანში ბნსუ-ს რექტორს წარუდგეს დასაბუთებულ დასკვნას სტუდენტის/პროფესიული პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით. დეკანის დასკვნა და მიღებული გადაწყვეტილება სტატუსშეჩერებულ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეცნობა წინამდებარე შინაგანაწესით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. სტატუსის აღდგენის შესახებ ბნსუ-ს დადებითი გადაწყვეტილების და სტატუსშეჩერებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში ხდება სტატუსის აღდგენის ბრძანების გამოცემა, სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი გადის ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას და აგრძელებს სწავლას (საჭიროების შემთხვევაში – ინდივიდუალური გეგმით);
2. უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში: 2010 წლის 4 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს ბნსუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ ამორიცხვის საფუძველი არ არის ბნსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.